სამოთხის ხის ვაშლი, თუ „Apple” დროსა და სივრცეში

ეიმაღო ნიკოღაიშვიღი
ღეკანოზი, გეღათის სასუღიეჰო აკაღემიის ასოციჰებუღი პჰოფესოჰი
ეკატეჰინა ბაბუნაშვიღი
ეკონომიკის მეცნიეჰებათა ღოქტოჰი, ქუთაისის უნივეჰსიტეტის ასოციჰებუღი პჰოფესოჰი

ღღეს, სამწუხაჰოდ, ჩვენთანაც და მთეღს მსოფღიოშიც ბაბიღონსა და ნინევიას ემსგავსება ცხოვჰება. წახაღისება ხდება თავშეუკავებღობის, გაჰყვნიღების, უზნეობის, ანგაჰების, მოჰწმუნეთა გჰძნობების შეუჰაცხყოფის, ათეიზმის, ხოღო ამის მოქმეღთა მიმდევჰობა მისაბაძ საქმეღ ითვღება. ვიდჰე ჩვენ ვცხოვჰობთ, შუჰით, ანგაჰებით, სიძუღვიღით, შიშითა და განკითხვის სუღით და ვეძებთ მხოღოდ მას, ჰაც ჩვენს მიწიეჰ „მეს“ესიამოვნება, ეს აჰის ჩვენთვის ბოძებუღი სამოთხის ხის ნაყოფის აღქმის დაკნინებუღი ჰეაღიზება ცივიღიზებუღი „Apple”-ს ფოჰმატში.

საკვანძო სიტყვები: *სამოთხე, ადამი, ევა, მცნება, მისია, „Apple”-ს ცივიღიზაცია.*

შესავალი

დრო თავის საზომისაებრ მიედინება, ინფორმაციის ნაკადი კი სისწრაფით წინ უსწრებს მოვლენების გააზრებასა და ფაქტებზე რეაგირებას. ბოლო ჟამის მოვლენათა ხშირი ცვალებადობით დროის თითოეული ერთეული ისეა ინფორმაციით დაწნეხილი, რომ ახშობს ანალიტიკური აზროვნების უნარს და ზომბირებული საზოგადოებრივი ცნობიერება დაბანგულივით მიჰყვება მედიის დირიჟორთა ხელის მოძრაობას.

ამგვარად ორკესტრირებული ქაოტური მუსიკის კაკაფონიაში წარსული გვავიწყდება და უმრავლესობისთვის მომავლის პერსპექტივაც ბურუსით არის მოცული. სწრაფი ნაკადით მიღებული ინფორმაციისგან გადაღლილი გონება დამშვიდებისთვის პაუზას ითხოვს და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ ახერხებს რეაგირებას. დიდი ხნის წინ ითქვა: „ისტორიის ჭოტი შუაღამეს გამოფრინდება.“ ამგვარ დაგვიანებას თავისი მნიშვნელობა მაინც აქვს, რადგან თითოეულ ადამიანს განვლილ მოვლენათა თუ შეხედულებათა გადაფასების შესაძლებლობა ეძლევა. (ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე).

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ცივილიზებულმა სამყარომ ადამიანთა ყურადღება ფიზიკური არსებობისაკენ, მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიაპყრო და სრულიად დაივიწყა სული, რომელიც მარადიულია და გარდაცვალების შემდეგ განაგრძობს ცხოვრებას. ადამიანები გაამაყდნენ საკუთარი მიღწევებით, წარმატებებით. კერპად გაიხადეს საკუთარი თავი და დაივიწყეს ლოცვა, ეკლესია და თვით უფალი. ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის ცხოვრება მიწაზე არის სკოლა, სადაც ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა ვუზრუნველვყოთ ჩვენთვის აღდგომა და მარადიული სიცოცხლე.

დროა დავფიქრდეთ!...

უფალმა ადამიანი შექმნა განღმრთობისათვის. ღვთაებრივი სიკეთეთა მიღებისა და ღვთის წინაშე მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. უფალი თავად არის სათავე, სისავსე და სისრულე სიმართლისა, სიწმინდისა, სიბრძნისა, ჭეშმარიტებისა, მოწყალებისა, სიხარულისა, თავმდაბლობისა, მშვიდობისა, წესრიგისა, კეთილდღობისა, თავისუფლებისა. ამასთან, ეს თვისებები აუცილებლად სიყვარულთან და სიკეთესთან არის დაკავშირებული და ყოველივეს აღემატება.

ბუნებრივია, ადამიანიც ვერ მიემსგავსება უფალს, ღვთის რწმენის, მასთან ერთობის დიდი სურვილისა და ამ თვისებების გარეშე.

საზომისაებრ თვისისა საღვთო მადლთა მქონე იყვნენ ადამი და ევა დაცემამდე. ამიტომაც ჰქონდათ შემოქმედთან ერთობა და განღმრთობაში წარმატების დიდი შესაძლებლობა, თუმცა, ასევე ჰქონდათ სრული თავისუფლება პიროვნული არჩევანისა.

ადამმა და ევამ გველის სახით ბოროტისაგან ცდუნებულებმა უფლისგან მიცემული მცნება და მასთან ერთობა სწორედ თავისუფალი ნების არამართებული გამოყენებით დაარღვიეს და ბოროტი ძალისგან მოტყუებულნი, მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამის გამო, ედემიდან განიდევნენ და სამოთხის გარეთ ცხოვრება დაიწყეს.

მიუხედავად ასეთი ურჩობისა და ღვთის ნებისგან განდგომისა, შემოქმედმა ისინი მაინც არ მიატოვა და დიდი სულგრძელებით იწყო ზრუნვა ცოდვით დაცემამდელ მდგომარეობაში კაცთა მოდგმის დაბრუნებისათვის.

მაინც რა უნდა გავაკეთოდ? რა მცნება მოგვცა უფალმა სამოთხის ხის ნაყოფის სახით დროსა და სივრცეში და როგორ შევასრულეთ? ამ კითხვის გაანალიზება უნდა მოხდეს უფრო დაწვრილებითი დაკონკრეტებით, დაკვირვებითა და სიღრმისეული გაანალიზებით. ის, თუ სად მივყავართ ამ კითხვის ფესვებს? რა ან ვინ არის მისი გამომწვევი მიზეზი? პასუხი ერთია. ისევ და ისევ ადამიანი თავისი სურვილებითა და მოთხოვნილებებით. „ ...ადამიანი, რომლის ნამდვილი სიდიადე მის თანაზიარობაშია „ხატისა“ და „მსგავსებისა“, მასში ჩადებულ საიდუმლოში. „მე მიწა ვარ და ამიტომაც მიჯაჭვული ვარ მიწიერ ცხოვრებას, წერს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, მაგრამ ასევე ღვთაებრივი ნაწილაკიც ვარ, და ამიტომაც ვატარებ გულში მომავალი ცხოვრების სურვილს.“ კაცობრიობისათვის შეიქმნა სამყარო დროსა და სივრცეში , რომელიც მიჰყვება მას, რადგან იგია ბუნება ადამიანისა, მაშასადამე ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ სამყაროზე. მხოლოდ ჩვენით ძალუძს კოსმოსს, როგორც ჩვენი სხეულის გაგრძელებას, მადლის მიღება, რადგან არა მარტო სული, არამედ სხეულიც კაცისა ღვთის ხატადაა შექმნილი. „ერთად იქნენ ისინი ღვთის ხატად შექმნილნი“-წერს წმ.გრიგოლ პალამა.

აუცილებელია რომ მოხდეს ადამიანის მიერ წარმოშობილი მოთხოვნილებების მიმართ დიფერენცირება, რათა დაკმაყოფლებული იქნას მათი საღი ნაწილი, რომელიც მატერიალური მოგების მიღების გარდა სრულ ბედნიერებას მოუტანს როგროც მიმწოდებელს, ასევე მომხმარებელს, ჯამში კი მთლიანად კაცობრიობას. ამიტომ დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული წუთისოფელში მოთხოვნილებები მხოლოდ გონების ნაყოფია, თუ გულისა? ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ყველა წარმოშობილი მოთხოვნილების შედეგად წარმოებული საქონლის ბოლო ადრესატი ისევ და ისევ ადამიანია და გასაანლიზებელია კონკრეტულად როგორ გავლენას იმოქმედებს მათზე აღნიშნული მიწოდებული საქონელი? „ვაი სოფლისა ამის საცდურთა მათგან, რამეთუ უნებლიაითცა მომავალ არიან საცდურნი, ხოლო ვაი მის კაცისა რომლისგან მოვიდეს საცდური“. (მთ.18.7) ეს სიტყვები ამა სოფლის მაცხოვარმა, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ წარმოთქვა. ეს ნათქვამია ჩვენს თვალწინ აღსრულებულ და მომავალში მოსახდენ მოვლენებზე, რომლებშიც ღვთის წმინდა სამართალი ადამიანის ცოდვიანი, ვნებიანი და ღვთისადმი მტრულად განწყობილი ნების დანაშაულებრივ და დამღუპველ შედეგებს შეერწყმის.

ქმნილებების მიერ ჩადენილი ბოროტება სრულყოფილი სიკეთის, ღმერთის, შეუძვრელად და ხელშეუხებლად ყოფნისთვის უცვლელ თვისებებსა და ღირსებებში ვერ დაარღვევს მის გამოუთქმელ სიბრძნეს და ვერც ყოვლადწმინდა და ყოვლისშემძლე ნების აღსრულებას წინ ვერ აღუდგება.

ამიტომ დროა კაცომრიობამ ბოლომდე გაითავისოს მისი შექმნის პასუხისმგებლობისა და უპირატისეული მდგომარეობაში მოვლინების მიზეზი. თუ რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი თავისუფალი და პასუხისმგებელი? სწორედ იმიტომ, რომ მას სურდა მოეხმო იგი უდიდეს ჯილდოსთან-განღმრთობასთან. ანუ იმასთან, რომ ადამიანი უსასრულობაში სწრაფვისას, მადლის მიერ ქცეულიყო იმად, რაც თავად ღმერთია თავისი ბუნებით. „თავი-

სუფლება არის ბეჭედი ჩვენი ღვთისადმი თანაზიარებისა. იგია ღვთის უსრულყოფილესი ქმნილება, შემოქმედის შედევრი“.(ვლადმერ ლოსკი)

„ღმერთმა შექმნა ადამიანი იმ ცხოველად, რომელმაც მიიღო ბრძანება გახდეს ღმერთი - აი მკაცრი სიტყვა ბასილი დიდისა, რომელსაც იმოწმებს გრიგოლ ღვთისმეტყველი. ადამიანი მხოლოდ ღვთის ნებით შეიქმნა, მაგრამ, ამ ერთი ნებით მისი განღმრთობა არ ხდება. ერთი ნებაა შექმნაში, ორი-განღმრთობაში. ერთ ნებაა „ხატის“ შესაქმნელად, ხოლო ორი იმისთვის რომ იგი „მსგავსად“ იქცეს.

რეალურად რა ხდება დღეს? სად და ვის მიმართ დგას ადამიანი თავისი შემეცნებითი პოტენციალით? რა სურს მას და რატომ? და ბოლოს, რა ახდენს მასზე გავლენას?

ზოგადად ყოველ დრო-ჟამს თავისი სირთულე ახლავს. არ არსებობს ისეთი ჟამი, რომელსაც რაიმე პობლემა არ სდევდეს თან. კაცობრიობის ისტორია გარკვეულად მსგავს ციკლებს გადის და მოვლენები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს და ხვალაცაა მოსალოდნელი, ერთგვარად ჰგავს იმას, რაც გუშინ, წარსულში იყო. რათქმა უნდა აქ არ იგულისხმება ის სრული მსგავსება-განსხვავება ანუ მეთოდოლოგიური აზროვნებისთვის ერთობ დამახასიათბელი ჩაკეტილი წრეები, სადაც მომავალი სულად დაკარგულია, რადგან იგი გაიგივებულია როგორც დაბრუნება წარსულთან.

ყოევლივეს თავისი დრო აქვს და ყოველ დროს თავისი ჟამი ამ მზისქვეშეთში და ამის მიმგნები რომ ხარ, რომ ამის დროა ახლა და ამის ჟამი და ეს დრო და ეს ჟამი ქმედებისა არის მყისიერი და იქ თუ წაავლებ ხელს, მაშასადამე უკვე ბრძენი ხარ. გესმის ცხოვება, ხედავ ყველაფერს. ეს ერთი მადლია, მაგრამ ამავე დროს დიდი ცოდნაა ცხოვრების ენისა და ეს ენა დროულობის ენაა. ეს ენა არის აქ და ამჟამად. ამ წუთში რა გეძლევა რომ გააკეთო: რაც იყო? რაც არი? არც წარსული არსებობს და არც მომავალი. არსებობს აწმყო. აწმყოშია წარსული გამოცდილების სახით და თუ კი ეს ასე არა რის, ის წარსული შენ არ გაქვს და იმ დროში შენ არც გიცხოვრია. მომავალი არის შენი აწმყოს მსგავსი, თუ რას აკეთებ აწმყოში, ახლა-ამჟამად.

სამწუხაროდ დღევანდელი ცივილიზაცია თავისი დამახასიათებელი კონიუნქტურით გამოირჩევა. იგი თავისი შემოთავაზებული სტანდარტებითა და ღირებულებათა სისტემით წარმავალი ცხოვრებით კმაყოფილებასა და ტკბობისაკენ მიგვაქანებს, რაც გვაშორებს ჩვენს საზრისს, რომ ყოველივე ჩვენთვის მოცემული მოვიხმაროთ განღვრთობისაკენ დროსა და სივრცეში.

დედამიწაზე დღეს შეთქმულებაა. ეშმაკს სურს ღმერთს დაუპირისპროს კაცობრიობა. მზადდება შეთქმულების თეორია „ახალი სამყაროს შექმნა“.

ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამოირჩევა მეგა-გამოწვევებით.

პოსტმოდერნიზმის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის ხედვა რომელიც ამა თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას ეყრდნობა, არასწორადაა მიჩნეული, რადგან მათი გაგებით ცდება ყველა, ვინც აცხადებს, რომ ჭეშმარიტება იცის. ასეთი აზროვნებისთვის სწორი და არასწორი აღარ არსებობს. გვაქვს უბრალოდ სისტემა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი ის კი არ არის მართალია თუ არა ესა თუ ის პრინციპი, არამედ ის, თუ რამდენად მუშაობს და რამდენად სარგებლიანია იგი დღეს.

ჩვენ ვცხოვრობთ მედიის მიერ შექმნილ სინამდვილეში, რაც არის თანამედროვეობის უდიდესი ტრაგედია. ჟან ბოდრეარის თქმით ჩვენ ვიმყოფებით მედიის მიერ შექმნილ სინამდვილეში, სადაც ერთია ობიექტუარი რეალობა, რომელშიც იმყოფება სამყარო, კაცობრიობა და კონკრეტულად ქართველობა და მეორეა ის რეალობა, რომელიც შექმნა საინფორმაციო საშუალებებმა, მედეამ და რომრლსაც ხელს ვერ შეახებ, მაგრამ იგი გეხება აზრობრივად, გეხება და იჭრება შენს სულში, ფაქტიურად იქ ხარ, იქ ცხოვრობ და ეს ცხოვრება არის აბსოლუტურად ის, რაც არ არის და არის სად? შენს ფსიქიკაში, რომელმაც დაიკავა შენი კრიტიკული ცნობიერების ადგილი, ის გადაწია განზე და მოგევლინა,

როგორც შენი დამატყვევებელი. კაცობრიობა დღეს პლატონისეულ „გამოქვაბულის მითის“რეალობაში იმყოფება, რომელმაც აშკარად ღირებულებათა და ფასეულობათა ახალი განზომილება შემოგვთავაზა, საშუალო არიტმეტიკული ადამიანის სახით მოგვევლინა და მათი შესაბამისი შესწავლა, დახასიათება და დასათაურება „ცარიელის აღმნიშვნელის“ პრინციპით გამოიყენა.

გასაანალიზებელია ეკონომიკური ვითარება რა გავლენას ახდენს ადამიანზე. ყოფნა, თუ ფლობა? ეს ორი ერთმანეთთან მიმართებაში ადამიანმა დროსა და სივრცეში როგორ უნდა მართოს? როგორ უნდა განკარგოს მატერიალური მდგომარეობა ისე, რომ ყოფნა არ დაკარგოს ამ სამყაროში, რომ ყოფნის მსახურად იქცეს ფლობა.

თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებაში აუცილებელია გავითვალისწინოდ, რომ დოვლათი, რომელსაც ასე „რუდუნებით“ აგროვებს მსოფლიო და პარალელურად ცდილობს მის „ლიბერალური“ მეთოდებით განაწილებას, მაშინ არის პრობლემური , თუ კი ის სიმართლით, ანუ მადლით არ იქნა ნაშოვნი(მოპოვებული) და სწორად, ანუ სიკეთეში არ იქნა დახარჯული. რამეთუ უფალმა ეს ყველაფერი სიყვარულითა და კეთილად შექმნა და შეუქმნა ადამს(კაცობრიობას), რათა მას მოეხდინა გამდიდრება ღმერთსა და მოყვასში. საყურადღებოა ჩვენ ამ ფინანსებს როგორ მოვიპოვებთ, განვათავსებთ და რაში განვკარგავთ, რაში მივანიჭებთ სიცოცხლეს, რადგან ფული უბრალო ფენომენი არ არის სამყაროში, რადგან ის მხოლოდ ეკონომიკური ფუნქციებით არ შემოიფარგლება. ეს უზარმაზარი საკომუნიკაციო და თვითგამოხატვის საშუალებაა. მასთან დამოკიდებულებაში მჟღავნდება თითოეული ადამიანი.

ყველა ეპოქა, ყველა საზოგადოება თავისებურად ცდილობს დასძლიოს მსოფლიო ეკონომიკაში არსებული გლობალური პრობლემები, მაგრამ როგორ?

ყველა დროს თავისი მახასიათებელი აქვს. ჩვენი დრო სხვა დროისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რასაც სახარება გვასწავლის, რომ მრავალი უსჯულოების გამრავლებით გაქრა სიყვარული. ყველაფერის ფულის საზომით გაზომვა ხდება. დროც კი ფულის საზომად გამოიყენება. თანამედროვე ეკონომიკური სლოგანია: „დრო ფულია“, „დრო არის საშუალება ფულის კეთებისა“, არადა დროს ნეტარი ავგუსტინე შემდეგნაირად განსაზღვრავს: „რამეთუ, რა არის დრო, თუ არა თანაბარი, მონაცვლეობითი და თანმიმდევრული ცვლა, რომელსაც უპირობო აუცილებლობით ვექვემდებარებით ჩვენ ყველანი და მთელი სამყარო“. მაშასადამე, თუ არ არის ქმნილება, არ არის ქმნილების ცვალებადი მყოფობა, არც ცვალება და არც დრო. დრო ყოველთვის გულისხმობს რაღაც ხანგრძლივობას, პროცესს, რომელშიც შეიძლება გამოიყოს წარსული, აწმყო და მომავალი. მაგრამ დასაწყისი, ანუ პირველი მყისი, რომელშიც შეიქმნა სამყარო, განუყოფელია. მასში ადგილი არა აქვს არანაირ ხანგრძლივობას და მაშასადამე, დროის მიღმაა. თვით დროსაც თავისი დასაბამი სამყაროს შექმნიდან მიეცა, მანამდე იყო მარადისობა. ჩვენს წინაშე დრო უცნობი და ჯერაც ხელშეუხებელია.

დღეს, სამწუხაროდ, ჩვენთანაც და მთელს მსოფლიოშიც ბაბილონსა და ნინევიას ემსგავსება ცხოვრება. წახალისება ხდება თავშეუკავებლობის, გარყვნიების, უზნეობის, ანგარების, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის, ათეიზმის, ხოლო ამის მოქმედთა მიმდევრობა მისაბაძ საქმედ ითვლება. ვიდრე ჩვენ ვცხოვრობთ, შურით, ანგარებით, სიძულვილით, შიშით და განკითხვის სულით და ვეძებთ მხოლოდ მას, რაც ჩვენს მიწიერ „მეს“ესიამოვნება, ეს არის სამოთხის ხის ნაყოფის აღქმის დაკნინებული რეალიზება ცივილიზებული „Apple”-ს ფორმატში.

ღმერთმა ადამი ქვეყნის მფლობელად დაადგინა. ბიბლიაში სიტყვა „მიწა“ ხშირად აღნიშნავს არა მხოლოდ ჩვენს პლანეტას, არამედ მთელ ნივთიერ-ხილულ სამყაროს. იოანე ოქროპირის განმარტებით, აღთქმა - „ფლობდეს მიწას“ წარმოადგენს ერთ-ერთ ნიშანს ღვთის მსგავსებისას. ღვთიური თვისებებია უკვდავება, სულიერება, გონიერება, სიყვარულის გრძნობა და ა.შ..ღმერთთან მსგავსება-ესაა თავისუფალი ნება, შესაძლებლობა მო-

ტივის არჩევისა, შინაგანი ავტონომია. ესაა ის, რაც ქმნის ადამიანის პიროვნების ურღვევ სულიერ მონადას. მაგრამ ადამი გადავიდა უფლის მცნებას, შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი, რის გამოც მოუხდათ სამოთხის დატოვება. რეალურად ადამის ცხოვრება კაცობრიობის ყოფის განსახიერებაა და მისი ცხოვრების ყოველ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა აქვს. ანუ მან ვერ შეძლო სწორად სამოთხეზე ბატონობა, მიწის დამუშავება, სიმდიდრის შექმნა, მოვლა და გამრავლება.

დასკვნები

დღეს, ისე როგორც არასდროს ჭეშმარიტად შემაშფოთებელია არაჯანსაღი მეთოდების ინტენსიური გამოყენების სტატისტიკური დინამიკის გაზრდილი ნიშნული მთელ მსოფლიოში, დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ასეთ დამოკიდებულებას სხვადასხვა ფორმით მთელი კაცობრიობა ავლენს, ფაქტიურად მისი გარეგნული გამოხატულება გლობალურ მასშტაბებს იძენს. მაგრამ ამ საკითხის ძირითადი პრობლემატურობა იმაში კი არ მდგომარეობს რომ ასე გაბატონებულად ბობოქრობს აღნიშნული დილემა, არამედ მისი ონტოლოგიურ ფესვთა ძიების დროულ და სწორად დაწყების აუცილებლობაშია.

პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე საჭიროა გაერთიანდეს ერი და ბერი. რა თქმა უნდა ეს არ არის ახალი ტენდენციური პრობლემა, არც მისი სრული იგნორი შეიძლება. იგი უნდა გვესმოდეს და გვაწუხებდეს როგორც ეკონომიკური არაჯანსაღი ტონალობითი მოვლენა, მაგრამ მისი თანამონაწილე არ უნდა გავხდეთ.

ამიტომ დროა თითოეულმა ჩვენთაგანმა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ სად ვეძებოთ პრობლემის ონტოლოგიური ფესვები, რა იქნება ჩვენი მარადიული ხვედრი? კარგათ უნდა გვესმოდეს და განვიცდიდეთ, რომ ღმერთმა, რომელმაც შექმნა სამყარო, თავის ხატად დაბადებულისათვის შექმნა იგი და სწორედ ადამიანია ამ სამყაროს არა რიგითი წევრი, არამედ მისი გვირგვინი და სისავსის აღმქმელი. ადამიანის შექმნით განცხადდა სამყაროს მოწყობის წესი, უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ განვითარების იდეა. თავდაპირველად ადამიანს დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა. იგი უმნიშვნელოვანესი მისიის განსახორციელებლად შეიქმნა. მას უნდოდა მოეხდინა ხილული სამყაროს ინტეგრაცია და შეეერთებინა უხილავ სამყაროსთან, ე.ი. ადამიანის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო მთელი ხილული სამყაროს ფერისცვალება-განსულიერება.

თანამედროვე მსოფლიო გამოწვევები გვავალდებულებს, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა და განსაკუთრებით კი ეკონომისტებმა უპირველესად ვიფიქროთ არსებული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე და შემდეგ მათ დაძლევის გზებზე.

დრო დადგა მივეჩვიოთ ჯანსაღ კრიტიკას და ვისწავლოთ განსჯითი ანალიზი. მართალია მეცნიერება წინ მიდის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ არის კი საკმარისი მისი სწორხაზოვანი პროგრესი? ამიტომ აქსიომაა შექმნილი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და მათი დაძლევის გზები ვეძებოთ სრულ მეცნიერებაში. რამეთუ სრულ მეცნიერებას შეუძლია ყოველივეს აღმოფხვრა, რომელთა მაგალითები მრავლად არის წმინდა წერილში.

ბიბლიური ისტორიის თანახმად, მას მერე, როცა სამოთხის უკვდავმა ადამიანებმა უარი ვთქვით მარადიულობაზე და არ შევასრულეთ ღმერთის სიტყვაა, მაინც სამყაროში დავრჩით, არ გავქრით, უბრალოთ, დაირღვა სხეულის და სულის სიმრთელე და სხეული ხრწნად, ხოლო ადამიანი მოკვდავად იქცა...ახლა რაშია ჩვენი სიცოცხლის არსი დედამიწაზე? გორგალი ტრიალებს, იქსოვება სიცოცხლე. ერთს მოსდევს მეორე, მეორეს-მესამე, მრავლდება კაცობრიობა. ვინ იცის ადამ და ევას მოდგმა კიდევ რა ბიბლიურ ხაზებს დაარღვევს და უსასრულობის რომელ კუნჭულში გარდაისახება ცივილიზაციად?, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ორი განზომილება, განზომილება ქრისტიანული მარადიული ცხოვრების საზომისა და განზომილება ამა სოფლისა, წარმავალი და კონიუნქტურაზე აწყობილი, რომელიც დღეს სამწუხაროდ რეალურად თანხვედრაში არ არის.

ახლა კი ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რაში მოვიხმართ იმ თავისუფალ ნებას. დღეს თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობა იღწვის რათა განთავისუფლდეს უფლისაგან ბოძებული თავისუფლებისაგან და არ ახდენს საკუთარი თავის იძულებით ძალისხმევას. დახვეწილი PR-ტექნოლოგიებით მიმდინარეობს ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც დროსა და სივრცეში სამოთხის ხის ნაყოფისა და „Apple"-ს შორის მარკეტინგულ სტრატეგიად იწერება.

ამრიგად, „ძნელია გზა თანამედროვეობიდან მართლმადიდებლობისაკენ და პირიქით", როგორც ამას ამბობს მამა სერგი ბულგაკოვი, მაგრამ აუცილებელად განსახორციელებელია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბ.2004, გვ 54;
2. ვლადიმერ ლოსკი დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ.2007, გვ 67;
3. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989;
4. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., „მერიდიანი", 2009;
5. საქართველოს ეროვნული აკადემია, გელათის სასულიერო აკადემია, თბ,2006;
6. წმ.ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი, რჩეული თხზულებები, თბ,2004.

The Fruit of the Paradise Tree, or "Apple" in Time and Space

Ermalo Nikolaishvili
Archpriest, Associate Professor of Gelati Theological Academy
Ekaterina Babunashvili
Doctor of Economic Science
Associate Professor of Kutaisi University

SUMMARY

Today, sadly, life is like that of Babylon and Nineveh in our country and around the world. Incontinence, depravity, immorality, self-interest, insulting the feelings of believers, atheism are encouraged, and following to implementers of these actions is considered to be a role model. As long as we live with envy, self-interest, hatred, fear, and the spirit of judgment, and seek only what pleases our earthly "me", this is the diminished perception of the fruit of the paradise tree, conferred for us, in a civilized "Apple" format.

Keywords: Paradise, Adam, Eve, Commandment, Mission, Civilization of "Apple".